# ერი და კაცობრიობა
## (ნიკოლაი ბერდიაევი)
### მთარგმნელისაგან

"რუსული ნაციონალიზმი ჩემთვის უკიდურესადმიუღებელი იყოო", წერს ერთგან თავის შემოქმედებით ავტობიოგრაფიაში ( самопознание, гл. X) ნიკოლაი ბერდიაევი. ნაციონალიზმში ის გულისხმობდა ეროვნულ თვითგანდიდებას და ეროვნულ განსაკუთრებულობას. ასეთი განწყობილება არ მოსწონდა მას რუსეთში. თუმცა, ის რუსეთის მხურვალე პატრიოტი იყო. მისთვის ადამიანთა შეფასებაში არავითარ როლს არ თამაშობდა ეროვნული კუთვნილება; მის შეგნებაში, პავლე მოციქულის სიტყვებით რომ გამოვთქვათ, არ არსებობდა არც ელინი, არც ებრაელი, ყველა ერთი იყო იმ საიდუმლოების წინაშე, რომელსაც მასში ეროვნულობის პრობლემა აღძრავდა. სავსებით წრფელად იგი კიდევ წერდა, რომ ნაციონალური ტიპებისადმი სიმპათია-ანტიპათია არ განსაზღვრავდა მის დამოკიდებულებას ცალკეული ადამიანების მიმართ. მაგრამ ეს არ იყო ეროვნული ნიჰილიზმის გამოვლინება. "მე არა ვარ ნაციონალისტი, მე რუსი პატრიოტი ვარო". შეუწყნარებელი იყო რა მისთვის ეროვნული განსაკუთრებულობა, განკერძოებულობა, იგი აღიარებდა პრინციპულ განუმეორებლობას ეროვნული ხასიათისას, და ამაში ხედავდა იგი ერის წარუვალ ღირსებას. ერის ღირსებას იგი აფასებდა უნივერსალობის საზომით. მისი ფიქრით, ყოველი ერი თავის თავში უნდა ატარებდეს უნივერსალურს, იგი ღია უნდა იყოს უცხო კულტურების, საბოლოო ჯამში, მსოფლიო კულტურის ასათვისებლად და გასათავისებლად. ამ უნარს იგი, დოსტოევსკის კვალზე, რუსობას მიაწერდა. ასეთი უნივერსალიზმი, მისი რწმენით, სავსებით ეთანადება პატრიოტულ სულისკვეთებას და ეროვნული განცდის სისავსეს. მაგრამ იქნებ სწორედ რუსობა არ იყო ასეთი. იქნებ სწორედ რუსი იყო ნახევრსდ ყოვლადკაცი, იქნებ უკანასკნელი ხანის ისტორიაში მან ნაკლებად გამოავლინა ყოვლადკაცობა?მაგრამ ბერდიაევისეული ამგვარი აღქმა რუსობისა იმით მაინც არის აღსანიშნავი, რომ ასეთი წარმოდგენა ერზე შეიძლება საფუძვლად დაედოს ერის უნივერსალური თეორიისა და ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბებას. მართლაც, რა ღირებულება უნდა ჰქონდეს ერს, თუკი მასში არ იქნება ადგილი უნივერსალურის მისაღებად, თუკი ის არ ატარებს ყოვლადკაცობრიულს, თუ მასში, როგორც  მცირე კოსმოსში არ დევს დვრიტა დიდი კოსმოსისა. უფრო მეტიც: "ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს სწორედ ეროვნულ შემოქმედებას თავის უმწვერვალეს გამოხატულებაში", აცხადებს იგი. ერსა და იმავე დროს ერში მოცემულიაუნივერსალური და ეროვნული. ეროვნული უნივერსალურის ინდივიდუალობაა, მისი კონკრეტული სახეა. უნივერსალურს სწორედ ეროვნული ანიჭებს სიღრმეს. უნივერსალურის ანუ ყოვლადკაცობრიულის რეალობა დამოკიდებულია ცალკეულ ეროვნებათა რეალობებზე. კაცობრიობაში ჩვენ ჩვენი ეროვნულობით ვიმყოფებით; ეროვნებათა უარყოფით ღარიბდება, უარესიც: იძარცვება ყოვლადკაცობრიული, რადგან მის მშრალ-აბსტრაქტულ ცნებას სწორედ ეროვნებები აშინაარსებენ. ეროვნულის უკან დგას მარადიული ონტოლოგიური საფუძველი, ამბობს ბერდიაევი, როგორც სამყაროს იერარქიის ერთ-ერთი საფეხური პიროვნულის შემდეგ. პიროვნება – ერი – კაცობრიობა – კოსმოსი – აი, აღმავალი იერარქიული კიბე, რომლის საფეხურები ერთმანეთით არის გამსჭვალული, შემოქმედებითად არიან ერტმანეთში შეზრდილნი: პიროვნება ერში, ერი კაცობრიობაში, კაცობრიობა კოსმოსში, კოსმოსი ღმერთში. თითოეული მათგანი თავის გვარში, თავის საფეხურზე ატარებს ინდივიდუალობას, რომელიც განუმეორებელია. არის პიროვნული ინდივიდუალობა, არის ეროვნული ინდივიდუალობა, არის კაცობრიული ინდივიდუალობა, როგორც ღვთის უნიკალური შემოქმედებისა.. არც ერთი საფეხური არ არსებობს განცალკევებულად: პიროვნული ვერ დააღწევს თავს ეროვნულს, ეროვნული – კაცობრიულს, კაცობრიული –

კოსმოსის სიცოცხლეს, კოსმოსი კი ღმერთამდე ადის "მთელი მისი მორთულობით". ვერც ერთი საფეხური ვერ განისაზღვრება რაციონალურად – თითოეული მათგანი საიდუმლოებაა რადგან მათი ფესვი ღმერთშია. და განა შესაძლებელია მკვეთრ ცნებებში გამოიხატოსეროვნული სული? "ყოველი მცდელობაეროვნულის რაციონალური განსაზღვრისა მარცხით მთავრდება". ეროვნულზე ისევე, როგორც პიროვნულზე, შეიძლება რაღაც ითქვას შინაგანი გამოცდილებით მაგრამ ეს რაღაც, შეიძლება, მეორე წამს გაგვისხლტეს, იგი მოუხელთ ბელია თავისი ბუნებით. ეს თავისუფლების სფეროა, აქ არ ჭრის კანონი. "კანონს დაქვემდებარებული, ოფიციალური, თავსმოხვეული ნაციონალიზმი ზღუდავს ეროვნულ მოწოდებას და უარყოფს ეროვნული ყოფიერების ირაციონალურ საიდუმლოს..." ვერავითარი მეცნიერული კვლევა ვერ ამოიტანს დღის სინათლეზე იმ საიდუმლოს, რომელიც ეროვნო ინდივიდუალობაშია ჩამარხული. რა არის ეროვნული? ალბათ, ის საიდუმლო, რომელიც ადვილად არ გადადისერთი ეროვნებიდან მეორეში.

თავისებურია ისტორიის დასასრულისა და ესქატოლოგიური ჟამის პერსპექტივაში ბერდიაევისეული წარმოდგეა იმპერიალიზმზე, როგორც ერთიანი, ბაბილონის-გოდოლამდელი მსოფლიოს წინასწარ მაუწყებელე საუკუნეთა წიარ. ეს არის ღვთიური განგებულება, რომელიც ადამიანის მოკვდავი, არცთუ სრულყოფილი ხელით ხორციელდება. მისი ფიქრით, ჭეშმარიტი იმპერიალიზმი, როგორც პოზიტიური მოვლენა სახელმწიფოთა ისტორიაში, სრულიადაც არ გულისხმობს მცირე ეროვნებათა ჩაგვრასა და მოსპობას – ამას სჩადის წრეგადასული ნაციონალიზმი დიდი ერისა, ანუ "გაბერილი ნაციონალიზმი", რომელიც თავის გვერდით ვერ ითმენს სხვა ერებს. პირიქით, ნამდვილი იმპერიალიზმი უნდა გამორიცხავდეს ნაციონალისტურ პოლიტიკას მცირე ერების მიმართ.თავისი ამოცანებით იმპერიალისტური სახელმწიფო უნდა ხასიათდეოდეს ყოვლადკაცობრიული სიფართოვით და უნდა აღიარებდეს ყველა ეროვნების ინდივიდუალობას. ჭეშმარიტი იმპერიალიზმი – მხსნელად უნდა მოევლინოს დამონებულ და ჩაგრულ ხალხებს როგორც თავის საზღვრებში, ისე გარეთ. ამგვარი იმპერიალიზმის სახეს ბერდიაევი რუსეთში ხედავს, მარამ რუსეთმა თავისი მანკიერი ნაციონალისტური პოლიტიკით უღალატა თავის მისიას ყოფილიყო ხალხების მხსნელი და შემფარებელი თავის ფრთებქვეშ. შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ ბერდიაევი იხრება იმ აზრისკენ, რომ რუსეთის ეროვნული ცნობიერება ვერა და ვერ გადაიზარდა იმპერიალისტურ ცნობიერებაში, იგი ნაციონალისტური დარჩა. "რუსეთი მხოოდ მაშინ აღმოჩნდება მსოფლიო იმპერიალისტური ამოცანების სიმაღლეზე, როცა დაძლევს თავის ძველ ნაციონალისტურ პოლიტიკას", წერს იგი. მისი რწმენით, რუსული ეროვნული პოლიტიკა იმპერიაში მცხოვრები ხალხების მიმართ ხელს უშლის იმ საკაცობრიო ამოცანებს, რომელიც რუსულ იმპერიალიზმს ელოდება განსახორციელებლად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბერდიაევის ნააზრევში მესიანიზმი და იმპერიალიზმი ერთი და იმავე პრინციპის ორი სხვადასხვა მხარეა: ერთი რელიგიური, მეორე პოლიტიკური. პოლიტიკაში მესიანიზმი იმპერიალიზმის სახეს იღებს . უფრო ზუსტად: რუსულ იმპერიალიზმს ბერდიაევის გაგებაში რელიგიური ელფერი აქვს. დღეს ჩვენთვის პარადოქსულია ბერდიაევის მიერ იმპერიალიზმის სფეროში თავისუფლების მომენტის შ მოტანა. "მხოლოდ თავისუფალი მოქალაქეები შეიძლება იყვნენ იმპერიის ბურჯებიო" წერს იგი. მისი რწმენით, რომელიც უტოპიაში გადადის, რუსული იმპერიალიზმი უნდა ეფუძნებოდეს რუსულ ცნობიერებას, რომელიც ყოვლადკაცის ფართო, ყოვლისმომცველი ცნობიერებაა, რომელშიც თავისუფლება უნდა მოიპოვონ იმპერიაში მცხოვრებმა ერებმა; რუსული წიაღით უნდა გავიდნენ ისინი ყოვლადკაცობრიულში, უნივერსალურში... მაგრამ ბერდიაევი ალბათ გრძნობდა ტრაგიკულ წინააღმდეგობას მისმიერ განჭვრეტილ რუსულ ფართო წიაღსა და იმ რუსულ ეროვნულ პოლიტიკას შორის, რომელსაც წარმარავდა იმპერიის ხელისუფლება ხალხების მიმართ. ბერდიაევს მიაჩნდა უპირველეს ამოცანად პირველ საფეხურად, რუსეთის იმპერიალისტურ-მესიანისტურ გზაზე იმპერიის ჩაგრული ხალხების გათავისუფლება. " "მისი იმპერიალიზმი, წერს იგი, არ უნდა იყოს აგრესიული. მისი

ნაციონალიზმი უნდა გამოხატავდეს რუსულ ყოვლადკაცობრიულ ხასიათს". მაგრამ როგორ უნდა გადაინაცვლოს რუსი ერის მეტაფიზიკურმა ხასიათმა ("გაგება ხალხების სულისა რუსი ხალხის სიამაყეა") სახელმწიფო პოლიტიკაში? როგორ უნდა გადაულოცოს გაუჩინარებული კიტეჟ-ქალაქის მაძიებელმა რუსულმა სულმა ამ მოლოდინისა თუ მისტიური ცნების აღსრულება სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელსაც სრულიად გარკვეული მიწიერი მიზნები ამოძრავებს? რა არჩევანია? ცალკერძ, ძიება დაკარგული "წმიდა რუსეთისა", როგორც ქრისტიანული სამეფოსი (Святая Русь), ცალკერძ, შენება რუსეთისა (Россия), კეისრის იმპერიისა, სულერთია, ვინ იქნება მისი მშენებელი –პეტრე დიდი, სტალინი თუ ახალი ყაიდის ხეისუფლება დემოკრატიის ნიღბით.

თავისუფლება და შემოქმედება – ეს ორი დასაბამიერი კატეგორია უდევს საფუძვლად ბერდიაევის ფილოსოფიას, მის მსოფლგანცდას. აკი მისი პირველი ორი ფუძემდებლური წიგნი სათაურშივე ატარებს მათ: "თავისუფლების ფილოსოფია" და "შემოქმედების აზრი". ერთმა სამღვდელო პირმა ირონიით "თავისუფლების ტყვე" შეარქვა მას. "მე კი არ მივდივარ თავისუფლებისაკენ, – წერდა ის, – არამედ ამოვდივარ თავისუფლებიდან". ის გრძნობდა, რომ თავისუფლებაშიადაფარული მსოფლიოს საიდუმლო. თავისუფლებისა და შემოქმედების კუთხით განჭვრეტს იგი ერისა და ეროვნების პრობლემასაც. ერი ღირებულია იმდენად, რამდენადაც მასში არის თავისუფალი შემოქმედების ძალები. მათი განსაზღვრა რაიმე თეორიიტ, "კანონს დაქვემდებარებული, ოფიციალური, თავსმოხვეული ნაციონალიზმით", ძირშივე ეწინააღმდეგება ეროვნულ სულს, კლავს და ახშობს "ეროვნული ყოფიერების ირაციონალურ საიდუმლოს". არა გარედან განსაზღვრა აბსტრაქტულ-სოციოლოგიური კატეგორიებით, არა თავზე მოხვევა რაღაც იდეოლოგიისა, რაც უნდა პროგრესული ან ერის ხასიათისადმი შესატყვისი გვეჩვენებოდეს იგი, არამედ პიროვნული მონაწილეობა მის "შემოქმედებით სასიცოცხლო პროცესში", ბოლომდე შეცნობა ეროვნული საიდუმლოსი, რომელიც იმალება ისტორიულ ძვრათა, ბედის ცვალებადობათა, ძველის დამანგრეველ და სიახლეთა შემქმნელ მოძრაობათა მიღმა. "დაკანონებული ნაციონალიზმი და დაკანონებული ჰუმანიზმი – ორივე ერთნაირად თრგუნავს შემოქმედებით გაქანებას, თანაბრად უცხოა და მტრული ეროვნული ყოფიერების, როგორც შემოქმედებითი ამოცანის, შეცნობის მიმართ". ბერდიაევს შემოაქვს გაგება "შემოქმედებითი ნაციონალიზმისა", რომლის ძალითაც ეროვნული ყოფა შემოქმედებითი ამოცანა უნდა იყოს. აქ ეროვნული შეგნება, მეობა მაღლდება და მოითხოვს თვითკრიტიკას, მოუწოდებს "ახლებურად აღზრდისაკენ ეროვნული ყოფის ნიშნით".

ღირსშესანიშნავია, რომ რუსი პატრიოტი ბერდიაევი არ ეძებს რუსეთის მტრებს რუსეთს გარეთ, მის უბედურებათა მიზეზებს მასშივე ხედავს – რუსეთი თავის თავში ატარებს თავის ბედისწერას, ერისთვის დამამცირებელი უნდა იყოს გარეშე მიზეზების ძიება, როცა საქმე ეხება ფუნდამენტურ კატაკლიზმებს მის ისტორიაში. ბერდიაევი რუსეთის 1917 წლის კატასტროფის მიზეზს ხედავს არა ჟიდ-მასონების, საერთაშორისო სიონიზმისა თუ ეშმაკეულ ძალთა ჩარევაში, არამედ თავად რუსეთის ყოფისა და სულიერების კრიზისში ეძებს. ამავე დროს, ის ფიქრობს, რომ რევოლუცია რუსეთში იყო ზეგარდმო მოვლენილი სასჯელი ჩადენილი ცოდვებისათვის. ფილოსოფოსი არ იცილებს თავიდან თავის, როგორც რუსის, რუსი ხალხის შვილის, პასუხისმგებლობას ყველაფერ იმაში, რაც მსოფლიოს მოუტანა რუსეთის რევოლუციამ. "მე თანახმა ვარ, საკუთარ თავზე ავიღო პასუხისმგებლობალენინის გამო", წერდა იგი ერთგან და ეს არ იყო ლიტონი ფრაზა. მან თავისი ცხოვრებით დაამოწმა ამ სიტყვების ეგზისტენციალური ჭეშმარიტება (ცნობილია, რომ სწორხაზოვნად მოაზროვნე, თავის ცალმხრივ სიმართლეში დაჯერებულმა ემიგრაციამ იგი ლამის ბოლშევიზმის აგენტად გამოაცხადა და გარიყა თავისი წრიდან). ბოლშ ვიზმის იმანენტურობა რუსულ სინამდვილეში მან ცხადჰყო წიგნში "რუსული კომუნიზმის სათავეები". ის მთელი არსებით გრძნობდა ბოლშევიზმის

გარდუვალობას. "მე კომუნიზმი აღვიქვი როგორც შეხსენება დავიწყებული ქრისტიანული ვალის გამო", წერდა ის. მას სწამდა, რომ მოხდებოდა ომუნიზმის გარდასახვის სინაგანი პროცესი, რმ რუსეთი შინაგანად დაძლევდა ბოლშევიზმს, საკუთარი ძალებით გაითავისუფლებდა თავს და სულიერად აღორძინდებოდა.

და თუ რუსეთი, როგორც ბერდიაევს სწამს, ნამდვილად მესიანური ქვეყანაა, რომელიც მოწოდებულია თავის საზღვრებში შემავალ და მის გარეთ მყოფ ხალხების სახსნელად, თუ რუს ხალხში ნამდვილად არის ნიშანი მესიანური ცნობიერებისა, რომელიც ნაციონალისტურზე მაღლა დგას, სცილდება ეროვნულ ჩარჩოებსაც კი და ზვარაკულია, – მას თავისი ეროვნულობა ზვარაკად უნდა მიჰქონდეს (და მიიტანს ოდესმე?) ხალხების გასათავისუფლებლად, რაც იმავდრულად მისი ხსნაც იქნება.